ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1629117

ნომერი: AR1269943

თარიღი : 02.12.2014

გაცემის თარიღი : 08.12.2014

გაცნობის თარიღი : 09.12.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი II , ი. პეტრიწის და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის, (ნაკვეთი N6/72) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი ჟორჟოლიანი პ/ნ 53001002694
- თბილისი ს.კანდელაკის ქ. N 31 ბ. 15

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1269943 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.06.006.072) გამოჯვნასთან და შემდეგ სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.10.06.006.072) 03.24.2008წ. #07/19145-13 განცხადების საფუძველზე, #01/1071 ბრძანებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი მრავალფუნქციური ობიექტის განთავსების მიზნით, რომლითაც შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ. გამომდინარე აქედან, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.